



**რეგიონალური ტელევიზიების მონიტორინგი
საპრეზიდენტო არჩევნები 2013**

პროექტი # S-13-238

საანგარიშო პერიოდი: 21-27 ოქტომბერი, 2013 წელი

მონიტორინგის მეოთხე ეტაპის ძირითადი მიგნებები:

- ტელეკომპანიათა უმეტესობა არჩევნების დღეს (27 ოქტომბერი) საგანგებო რეჟიმში მუშაობდა და მაყურებელს ინფორმაციას ოპერატიულად აწვდიდა: საარჩევნო უბნებზე შექმნილი სიტუაცია და მიმდინარე მოვლენები მიუკერძოებლად და დაბალანსებულად შუქდებოდა;
- მკვეთრად მოიმატა ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაშუქებამ;
- შემცირდა საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის დათმობილი დრო: შუქდებოდა მხოლოდ მათი წინასაარჩევნო შეხვედრები;
- ტელეკომპანიათა უმეტესობა ისევ დიდ დროს უთმობდა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის გაშუქებას, ძირითადად, ნეიტრალურ ტონში;
- ტელეკომპანიების უმრავლესობაზე საინფორმაციო გამოშვებების მთავარ პრობლემად კვლავ მოვლენების ზედაპირული გაშუქება რჩება;

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2013 წლის 21-27 ოქტომბრის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს.

მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას.

ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების საღამოს ეთერში (19:00 - 24:00 სთ.) გასულ საინფორმაციო გამოშვებებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ რეგიონალური ტელემაუწყებლების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 12 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ქ. ჭიათურა), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი).

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების საღამოს (ე.წ. "პრაიმ-ტაიმის", როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს) გადაცემებზე: საინფორმაციო გამოშვებებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუებზე, სოციალურ რეკლამებზე.

საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი

მონიტორინგის მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიული სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცევა ინფორმაციის დამახინჯებას, დაუბალანსებელ გაშუქებას, ტენდენციურობას და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ შერჩეული სუბიექტების შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ. დრო ითვლება, როდესაც სუბიექტზე საუბრობს საინფორმაციო გამოშვების წამყვანი, სიუჟეტის ჟურნალისტი ან სიუჟეტის ნებისმიერი რესპონდენტი. ასევე ითვლება დრო, როდესაც სუბიექტი უბრალოდ ჩანს ეკრანზე, ან ჩანს მისი ფოტო, პლაკატი ან სხვა ნებისმიერი ვიზუალური მასალა (იმ შემთხვევაში, თუ ამ დროს მასზე არ საუბრობენ).

მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე სხვები (ჟურნალისტი ან რესპონდენტი) საუბრობენ. იმ შემთხვევებში, როდესაც მონიტორინგის სუბიექტები თავად საუბრობენ (ისმის ხმა) დრო ითვლება, როგორც პირდაპირი გაშუქება; როდესაც სუბიექტებზე საუბრობენ სხვები, ჟურნალისტები ან რესპონდენტები, დრო ითვლება, როგორც ირიბი გაშუქება.

გაშუქების ტონი ენიჭება მონიტორინგის ყველა სუბიექტს. ტონის შესაფასებლად არსებობს სამი კატეგორია: დადებითი, ნეიტრალური და უარყოფითი. ყოველთვის, როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ფასდება ტონიც, ანუ რაოდენობრივად ითვლება, რამდენი წამის/წუთის განმავლობაში საუბრობდნენ ამა თუ იმ სუბიექტზე კონკრეტული ტონით. ტონის შეფასებისას ყურადღება ექცევა არა მხოლოდ ტექსტის შინაარსს, არამედ კონტექსტსაც.

თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა: ბალანსი, მიუკერძოებლობა, სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), ფაქტებზე

დაფუძნებული გაშუქება, ახალი ამბების იგნორირება, მოვლენების დროული გაშუქება, ჟურნალისტის ლექსიკა, "ფარული პოლიტიკური რეკლამის" გამოყენების ფაქტები და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტის თავმჯდომარე, დამოუკიდებელი დეპუტატები, პრეზიდენტი, მთავრობა, პრემიერ-მინისტრი, ცენტრალური საარჩევნო კომისია, ადგილობრივი ხელისუფლება (დაკონკრეტების გარეშე), აჭარის მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, კოალიცია "ქართული ოცნება", ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, თავისუფალი დემოკრატები (კოალიცია), ეროვნული ფორუმი (კოალიცია), საქართველოს რესპუბლიკური პარტია (კოალიცია), საქართველოს კონსერვატიული პარტია (კოალიცია), მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს (კოალიცია), ხალხის პარტია, საქართველოს გზა, თავისუფალი საქართველო, ახალი მემარჯვენეები, დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ლეიბორისტული პარტია, საქართველოს დემოკრატიული პარტია, ქართული დასი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ევროპელი დემოკრატები, ასევე პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი ცალკ-ცალკე.

მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:


"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის ეთერში საინფორმაციო გამოშვება „მაცნე“ ყოველდღე გადიოდა. 27 ოქტომბრის საინფორმაციო გამოშვებაში არჩევნების მიმდინარეობასთან დაკავშირებული მოვლენები გაშუქდა. არხმა მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 29 წუთი დაუთმო. ამ დროის 19% მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა, 18% - ცენტრალური საარჩევნო კომისიის, 11% - მთავრობის. პრეზიდენტობის კანდიდატებიდან წუთზე მეტი დრო დავით ბაქრაძეს („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), გიორგი მარგველაშვილს (კოალიცია “ქართული ოცნება“) და ნინო ბურჯანაძეს („დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის“) დაეთმო.

ახალი ამბების გამოშვებებში შუქდებოდა როგორც ქვეყანაში, ისე რეგიონში განვითარებული მოვლენები. აჭარის მთავრობის და ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქება დადებით და ნეიტრალურ ტონებში ხდებოდა.

სუბიექტების გაშუქებისას პირდაპირი/ირიბის საუბრის მაჩვენებლები თითქმის თანაბრად გამოვლინდა. სუბიექტების მიმართ სამივე ტონში საუბრობდნენ, თუმცა ნეიტრალური

ბევრად სჭარბობდა. მხოლოდ ნეიტრალურ და ნეგატიურ ტონში გაშუქდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისია და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები დაბალანსებული იყო. ჟურნალისტები ცდილობდნენ მოვლენები ობიექტურად და მიუკერძოებლად გაეშუქებინათ. ყველა დაინტერესებულ მხარეს თანაბრად ეძლეოდა აზრის გამოთქმის საშუალება.



"რიონი" (ქ. ქუთაისი) – საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში საათი და 37 წუთი დაეთმოთ. "დღის ამბებში" "დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის" პრეზიდენტობის კანდიდატ ნინო ბურჯანაძის მიერ ქუთაისში გამართული წინასაარჩევნო შეხვედრის შესახებ მომზადებული სიუჟეტი გავიდა. ასევე მომზადდა სიუჟეტი გიორგი თარგამაძეზე: "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატი ქუთაისში მოქმედი ერთ-ერთი კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა, რომლებსაც ბანკთან გარკვეული პრობლემები ჰქონდათ.


საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებები ყოველდღე გადიოდა. მათში ვრცლად შუქდებოდა თუ რამდენად იყო მზად საარჩევნო უბნები საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად. სიუჟეტებში გვხვდებოდა ცესკოს წარმომადგენლების კომენტარები. არჩევნების დღეს, 27 ოქტომბერს არხის საინფორმაციო გამოშვების გუნდი საგანგებო

რეჟიმში მუშაობდა. ეთერში გასული ყველა სიუჟეტი არჩევნებს შეეხებოდა. შესაბამისად, ყველაზე მეტი დრო (თითქმის 24 წუთი) ცენტრალური საარჩევნო კომისიას დაეთმო.

საინფორმაციო გამოშვებებში 23 წუთი დაეთმო ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის გაშუქებას, ხოლო 10 წუთი - მთავრობას.

მონიტორინგის სუბიექტების გაშუქება, უმეტესწილად, პირდაპირი საუბრით ხდებოდა: აზრის გამოსათქმელად დრო ყველას თანაბრად ეძლეოდა. სუბიექტების გაშუქების ტონი კი, ძირითადად, ნეიტრალური იყო; ნეგატიური ტონი თითქმის არავის მიმართ დაფიქსირებულა; შედარებით მეტი დადებითად გაშუქება ჰქონდათ: პრემიერ-მინისტრს (39%) და კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს (50%).

საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტებში ბალანსი დარღვეული არ ყოფილა. ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქებდნენ და საკუთარ მოსაზრებებს არ გამოთქვამდნენ.



ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - მეოთხე საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის საათებში არხზე ყოველდღიურად საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“ გადაიცემოდა. ახალ ამბებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 1 საათი და 21 წუთი დაეთმო. ყველაზე დიდი დროით ადგილობრივი ხელისუფლება (20 წთ. 7 წმ.), კოალიცია „ქართული ოცნება“ (19 წთ. 48 წმ.) და მთავრობა (10 წთ. 39 წმ.) იყვნენ წარმოდგენილი. საინფორმაციო გამოშვებებში პრეზიდენტობის სამ კანდიდატს დაეთმო წუთზე მეტი დრო: გიორგი მარგველაშვილს (კოალიცია „ქართული ოცნება“), ნინო ბურჯანაძეს

("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის") და დავით ბაქრაძეს ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა").

ახალ ამბებში მონიტორინგის სუბიექტები, უმეტესწილად, პირდაპირ შუქდებოდნენ: სიუჟეტებში მრავლად იყო მათი ინტერვიუები. ძირითადად, გაშუქების ნეიტრალური ტონი სჭარბობდა. ნეგატიური ტონი კოალიცია „ქართული ოცნებისა“ (5%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (4%) მიმართ დაფიქსირდა, რაც მათი მხრიდან ერთმანეთის მისამართით გაკეთებული ნეგატიური შინაარსის კომენტარებით იყო გამოწვეული.


საინფორმაციო გამოშვებებში მოწინავე სიუჟეტები ადგილობრივი ხელისუფლების, მთავრობისა და პრეზიდენტის საქმიანობას შეეხებოდა. პოლიტიკური პარტიებისა და პრეზიდენტობის კანდიდატების გაშუქება გადაცემის შუა და დასკვნით ნაწილში ხდებოდა.

სიუჟეტებში, ზოგჯერ, დარღვეული იყო ბალანსი. მაგალითად, 26 ოქტომბრის გადაცემაში მოხვდა სიუჟეტი, რომელიც რელიგიურ დღესასწაულზე ეპისკოპოსის მიერ ქ. რუსთავის კურთხევას შეეხებოდა. სიუჟეტში კომენტარები გააკეთეს რუსთავის მერმა და კოალიცია "ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილის მხარდამჭერთა საზოგადოებრივი დარბაზის წარმომადგენლებმა. სიუჟეტში სხვა პოლიტიკური სუბიექტები არ გაშუქებულა. ზოგადად, არხის საინფორმაციო გამოშვებებში დიდი დრო ეთმობოდა კოალიციის პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერთა საზოგადოებრივი დარბაზის საქმიანობის გაშუქებას.

24 ოქტომბერს გასულ საინფორმაციო გამოშვებაში დაფიქსირდა სიძულვილის ენის შემცველი განცხადება. სიუჟეტში, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ბოლნისისა და დმანისის მოსახლეობასთან შეხვედრას შეეხებოდა გაშუქდა მიხეილ სააკაშვილის განცხადება: "ველარავინ ველარასდროს უნდა დააბრუნოს ბანდიტები ჩვენს ქუჩებში, ვერავინ ველარასდროს ველარ წავგართვას ჩვენი ქონება მოპოვებული, ვერავინ ველარასდროს დაგიძახოთ თქვენ **თათრები**, როგორც იყო! იმიტომ, რომ ჩვენ შევქმენით ახალი საქართველო." წამყვანმა სიუჟეტის წარდგენისას განაცხადა: „ქვეყნის პირველი პირი ბოლნისისა და დმანისის მოსახლეობას შეხვდა. ვერავინ ვერასოდეს ვერ უნდა დაგიძახოთ თათრები - ასე მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა დმანისისა და ბოლნისის სოფლების აზერბაიჯანულ მოსახლეობას.“ მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის განცხადება მიმართული იყო სიძულვილის ენის აღმოფხვრისაკენ, უმჯობესი იქნებოდა, ჟურნალისტის მიერ გაკეთებული პერიფრაზი ეთერში არ გასულიყო.

სიუჟეტებში ყოველთვის იყო წარმოდგენილი ფაქტების დამადასტურებელი კადრები და კომენტარები.

27 ოქტომბერს, არჩევნების დღეს არხზე 23 საათსა და 30 წუთზე სპეციალური გამოშვება გავიდა, რომელშიც ეგზიტპოლების და ცენტრალური საარჩევნო კომისიის პირველადი მონაცემები გაშუქდა.




"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია მონიტორინგის გაშუქებული სუბიექტებს სიმრავლით არ გამოირჩეოდა. საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები რეგიონში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს და სოციალურ საკითხებს მოიცავდა. მონიტორინგის სუბიექტებს დრო „ინფოლენტშიც“ ეთმობოდათ, სადაც პოლიტიკოსების და საზოგადო მოღვაწეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს დაახლოებით 15 წამის განმავლობაში, ძირითადად, ტექსტის სახით აჩვენებდნენ. ხშირად ციტატასთან ერთად ეკრანზე მისი ავტორის ფოტოც ჩანდა.

საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 18 წუთი დაეთმოთ. ყველაზე მეტი დროით კი მთავრობა (4 წთ.) და ცენტრალური საარჩევნო კომისია (3 წთ.) იყვნენ წარმოდგენილი. ორი წუთი დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. ამ დროის 50% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა, რამაც მთავრობის მიმართ ნეგატიური ტონი (20%) განაპირობა. ხოლო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინაღმდეგ გამართული აქციების გაშუქებამ - 48% -იანი ნეგატიური მაჩვენებელი.

პრეზიდენტობის კანდიდატებიდან მხოლოდ ნინო ბურჯანაძეს ("დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის") დაეთმო წუთზე მეტი დრო: გაშუქდა მისი შტაბის საქმიანობა.

26 ოქტომბრის გადაცემაში მომზადდა სიუჟეტი საოლქო საარჩევნო კომისიის მუშაობის და საარჩევნო უნებზე არსებული ვითარების შესახებ.


არხის საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები ახალი ამბების მოკლე გაშუქებით შემოიფარგლებოდა. ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქებდნენ, მხოლოდ ფაქტებს გადმოსცემდნენ და ნაკლებად სვამდნენ კითხვებს. რესპონდენტებს საკუთარი აზრისა და პოზიციების დაფიქსირების საშუალება მაქსიმალურად ეძლეოდათ.



"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „მე-9 არხი“ პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. საინფორმაციო გამოშვებები ყოველდღიურად გადიოდა. არჩევნების დღეს, 27 ოქტომბერს ახალი ამბების სპეციალური გადაცემა გავიდა. ჯამში მონიტორინგის სუბიექტებს 23 წუთი დაეთმო. ამ დროის 18% ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაშუქებაზე მოდიოდა. ბევრად ნაკლები დრო დაეთმო მონიტორინგის დანარჩენ გაშუქებულ სუბიექტებს. მათზე დრო მეტ-ნაკლებად თანაბრად იყო გადანაწილებული.

ორ წუთზე ოდნავ მეტი დრო დაეთმო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატ დავით ბაქრაძეს. ხოლო წუთზე ოდნავ მეტი - კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს. საინფორმაციო გამოშვებებში პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებზეც (ნესტან კირთაძე, შალვა ნათელაშვილი, ნინო ბურჯანაძე, სერგო ჯავახიძე, ლევან ჩაჩუა, გიორგი თარგამაძე) იყო საუბარი, თუმცა მათ წუთზე ნაკლები დრო დაეთმო. სუბიექტები, უმეტესწილად, პირდაპირი საუბრით შუქდებოდნენ. მათ მიმართ სამივე ტონი დაფიქსირდა, თუმცა ხშირ შემთხვევებში ნეიტრალური და პოზიტიური სჭარბობდა.

საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტებში დაცული იყო ბალანსი, ჟურნალისტები ცდილობდნენ ყველა მხარისთვის თანაბრად დაეთმობთ დრო. მოვლენები დროულად და ფაქტებზე დაყრდნობით შუქდებოდა.



"თანამგზავი" (ქ. თელავი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „თანამგზავრზე“ საინფორმაციო გამოშვება ყოველდღიურად საღამოს ეთერში ორჯერ გადიოდა - 19:30 საათზე და განმეორებით 21:00 საათზე.

გასული კვირის განმავლობაში არხზე მონიტორინგის ყველაზე მეტი სუბიექტი გაშუქდა. მათ ჯამში 2 საათი და 22 წუთი დაეთმობთ. დროის მაღალი მაჩვენებლით კი მთავრობა (33 წუთი) და ცენტრალური საარჩევნო კომისია (21 წუთი) გამოირჩეოდნენ. მათთვის დათმობილი დრო, ძირითადად, პირდაპირ საუბარზე მოდიოდა: მთავრობა - 71%, ცესკო - 60%. თითქმის ყველა სუბიექტის შემთხვევაში პირდაპირი საუბარი მეტი იყო ირიბზე, მხოლოდ პრეზიდენტის გაშუქებისას (6 წთ.) დაფიქსირდა ირიბი საუბრის 72%. სუბიექტების გაშუქებისას ნეიტრალური ტონი ბევრად სჭარბობდა დადებით ან უარყოფით ტონებს.

საანგარიშო პერიოდი არჩევნების დღესაც (27 ოქტომბერი) მოიცავს, შესაბამისად ახალი ამბების გამოშვებაში მნიშვნელოვანი დრო საარჩევნო უბნებზე შექმნილი სიტუაციის გადმოცემას ეთმობოდა.


საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური პარტიები და მათი საპრეზიდენტო კანდიდატები ჟურნალისტების მხრიდან მაქსიმალურად მიუკერძოებლად შუქდებოდნენ. თანაბრად იყო წარმოდგენილი კოალიცია „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, მათ საერთო დროის 11-11% დაეთმობთ და საშუალება მიეცათ პირდაპირ

გამოხატათ საკუთარი მოსაზრებები (42% და 65%). კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ 47% -იანი ნეგატიური ტონის დაგროვება, სწორედ ოპონენტების პირდაპირი სუბრის დროს დაფიქსირებულმა უარყოფითმა ტონმა განაპირობა.

საპრეზიდენტო კანდიდატებიდან ყველაზე მეტი დრო (8 წთ.) „ქრისტიან- დემოკრატიული მოძრაობის“ კანდიდატ გიორგი თარგამაძეს დაეთმო. თითქმის 3-3 წუთით გაშუქდნენ "ერთიანი ნაციონალური მოძაობის" და "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის" კანდიდატები, ხოლო კოალიცია "ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატს 2 წუთზე ოდნავ მეტი დრო დაეთმო.

არჩევნების დღეს ახალი ამბების ჟურნალისტები საგანგებო რეჟიმში მუშაობდნენ. მონიტორინგის ქვეშ ორი საინფორმაციო გამოშვება მოექცა, რომლებშიც რეგიონში და მთლიანად ქვეყანაში არჩევნების დღეს განვითარებულ მოვლენებს ამომწურავად მიმოიხილავდნენ: აღწერდნენ საარჩევნო უბნებზე შექმნილ სიტუაციას, აშუქებდნენ საარჩევნო კომისიის წევრების კომენტარებს.


21-27 ოქტომბრის საინფორმაციო გამოშვებებში ჟურნალისტები მთავრობის მიმართ კრიტიკულ კითხვებს სვამდნენ, ეწეოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგს; საპრეზიდენტო კანდიდატების პროგრამებისა და საარჩევნო გარემოს შესახებ ქუჩის გამოკითხვებს ატარებდნენ.



"თრიალეთი" (ქ. გორი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიის ეთერში მოკლე საინფორმაციო გამოშვებები ყოველდღე გადიოდა. მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებას ჯამში 32 წუთი დაეთმო. ყველაზე მეტი დროით ცენტრალური საარჩევნო კომისია (27%) და ადგილობრივი ხელისუფლება (19%) გაშუქდნენ. მთავრობის საქმიანობის შესახებ საკმაოდ კრიტიკული სიუჟეტები მომზადდა, რამაც მათი 45%-იანი ნეგატიურად გაშუქება განაპირობა.

კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის მიმართ დაგროვილი მაღალი უარყოფითი გაშუქების მაჩვენებლი (78%) კი მის მიმართ ოპონენტების მიერ პირდაპირი სუბრის დროს ნეგატიური ტონის გამოყენებამ გამოიწვია.

27 ოქტომბერს, არჩევნების დღეს ახალი ამბების სპეციალური გამოშვება მომზადდა, რომელიც ამომწურავად აშუქებდა საარჩევნო უბნებზე შექმნილ სიტუაციას. ჟურნალისტები ინფორმაციას საკუთარი კომენტარებისა და მოსაზრებების გარეშე, მშრალი ფაქტებით გადმოსცემდნენ. სიუჟეტები მოვლენების მოკლე და მიუკერძოებელი გაშუქებით ხასიათდებოდა.




"გურია" (ქ. ოზურგეთი) - მეოთხე საანგარიშო პერიოდში, მონიტორინგის საათებში, არხზე ყოველდღიურად გადაიცემოდა საინფორმაციო გამოშვება „ფაქტი“. ახალ ამბებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 15 წუთი დაეთმო. ამ დროის 16% ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაშუქებაზე მოდიოდა.

საინფორმაციო გამოშვებებში წუთზე მეტი დრო პრეზიდენტობის სამ კანდიდატს დაეთმო: დავით ბაქრაძეს ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"), ნინო ბურჯანაძეს ("დემოკრატიული

მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის") და გიორგი თარგამაძეს ("ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"). მონიტორინგის სუბიექტები, ძირითადად, ირიბად შუქდებოდნენ. მათი გაშუქების ტონი, უმეტესწილად, ნეიტრალური იყო, თუმცა ნეგატიური და პოზიტიური ტონებიც დაფიქსირდა. პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე და მთავრობა მხოლოდ ნეიტრალურ და ნეგატიურ ტონებში გაშუქდნენ. უარყოფითი ტონი დაფიქსირდა კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართაც. სუბიექტების მიმართ გამოვლენილი ნეგატიური ტონის მიზეზი, უმეტესწილად, ოპონენტების მიერ ერთმანეთის (ადგილობრივი ხელისუფლების შემთხვევაში - მოქალაქეების) შესახებ გაკეთებული კომენტარების შედეგია და არა ჟურნალისტების სუბიექტური და კრიტიკული დამოკიდებულების.

საანგარიშო კვირის საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქდა საპრეზიდენტო კანდიდატების შეხვედრები მოსახლეობასთან. ნაკლები იყო კრიტიკული სიუჟეტები და ეთერში მხოლოდ პრეზიდენტობის კანდიდატთა მხარდამჭერი მოქალაქეების კომენტარები ხვდებოდა. ჟურნალისტები ფაქტებს მშრალად და მიუკერძოებლად გადმოსცემდნენ, დაცული იყო ბალანსი.

სიუჟეტებში ზოგჯერ ჭირდა რესპონდენტების ვინაობის დადგენა, რადგან კომენტარს შესაბამისი ტიტრი არ ახლდა.



"იმერვიზია" (ქ. ჭიათურა) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია საინფორმაციო გამოშვებას ყოველდღე (შაბათის გარდა) ამზადებდა. ორშაბათი-პარასკევის საღამოს ეთერში საინფორმაციო გადაცემა 19:00 საათსა და განმეორებით 21:20 საათზე გადიოდა.

არხის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 2 საათი და 3 წუთი დაეთმო. ამ დროის 58% კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებაზე მოდიოდა. 16 წუთი დაეთმო ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, 10 წუთი - "დემოკრატიული მოძრაობა -ერთიანი საქართველოსთვის" პრეზიდენტობის კანდიდატ ნინო ბურჯანაძეს: გაშუქდა მისი წინასაარჩევნო კამპანია ჭიათურასა და საჩხერეში.


ასევე შუქდებოდა კოალიცია "ქართული ოცნების" წარმომადგებლების წინასაარჩევნო შეხვედრები მოსახლეობასთან. 25 ოქტომბერს საინფორმაციო გამოშვების მეორე ნაწილში წამყვანს სტუდიაში მიწვეული ჰყავდა კოალიცია "ქართული ოცნების" წევრი, ჭიათურის მაჟორიტარი დეპუტატი მალხაზ წერეთელი. კოალიციისთვის დათმობილი დროის ზრდა ამ ინტერვიუმაც განაპირობა.

მონიტორინგის სუბიექტებს, ძირითადად, პირდაპირი საუბრით აშუქებდნენ. მხოლოდ პრემიერ-მინისტრის გაშუქებისას (დათმობილი დრო: 4 წთ.) ირიბი საუბარი (88%) ბევრად მეტი იყო პირდაპირზე. ყველა გაშუქებული სუბიექტის მიმართ, ძირითადად, ნეიტრალური და დადებითი ტონები გამოვლინდა.

საანგარიშო კვირის საინფორმაციო გამოშვებებში გადიოდა სიუჟეტები, სადაც საუბარი საარჩევნო უბნებში არსებულ მდგომარეობას შეეხებოდა, ჟურნალისტები არკვევდნენ იყო თუ არა მოგვარებული ყველა საკითხი საპრეზიდენტო არჩევნების ხარვეზების გარეშე ჩასატარებლად.

27 ოქტომბრის საინფორმაციო გამოშვებაში დეტალურად იყო მიმოხილული არჩევნების მიმდინარეობა, როგორც ჭიათურასა და საჩხერეში, ასევე ქვეყანაში.

გასული კვირის საინფორმაციო გამოშვებებში საარჩევნო თემატიკის გარდა სოციალური თემები, ადგილობრივი ხელისუფლების აქტივობები და სხვადასხვა ღონისძიებებიც შუქდებოდა. სიუჟეტებში ბალანსი დაცული იყო. გაშუქებულ მოვლენებთან დაკავშირებით ჟურნალისტების მიერ მიკერძოებული შეფასებების გაკეთების შემთხვევები არ გამოვლენილა.



"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - საანგარიშო პერიოდში, მონიტორინგის საათებში არხზე ყოველდღიურად საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ გადაიცემოდა. ახალ ამბებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 36 წუთი და 42 წამი დაეთმო.


აქედან, თითქმის 10-10 წუთი ადგილობრივი ხელისუფლების და მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა. მესამე ყველაზე მეტად გაშუქებული სუბიექტი ცენტრალური საარჩევნო კომისია (5 წთ. 7 წმ.) იყო. თითქმის თანაბარი დროით გაშუქდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და კოალიცია „ქართული ოცნება“.

საინფორმაციო გამოშვებებში წუთზე მეტი დრო პრეზიდენტობის სამ კანდიდატს დაეთმო: დავით ბაქრაძეს („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), გიორგი მარგველაშვილს (კოალიცია „ქართული ოცნება“) და ნინო ბურჯანაძეს („დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის“).

ადგილობრივი ხელისუფლება და მთავრობა, უმეტესწილად, პირდაპირ, ხოლო პრეზიდენტობის კანდიდატები და პარტიები ირიბად შუქდებოდნენ. სუბიექტების გაშუქების ნეიტრალური ტონი ბევრად სჭარბობდა დადებით და უარყოფით გაშუქებას. თუმცა, ნეგატიური ტონით გაშუქება დაფიქსირდა 50 წამზე მეტი დროით გაშუქებულ ყველა სუბიექტთან.

27 ოქტომბერს, არჩევნების დღეს არხის ეთერში ვრცელი საინფორმაციო გამოშვება გავიდა, რომელიც მთლიანად საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობას, დარღვევებსა და ეგზიტპოლების შედეგებს შეეხებოდა.

საინფორმაციო გამოშვებებში ბალანსი დაცული იყო. ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქებდნენ. სიუჟეტებში მსჯელობის დამადასტურებელი ფაქტები და კომენტარები ყოველთვის იყო მოწოდებული.




„მეგა ტვ“ (ქ. ხონი) - საანგარიშო კვირის განმავლობაში არხის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ერთი საათი დაეთმო. ამ დროის 23% პრეზიდენტის გაშუქებაზე მოდიოდა, 18% - მთავრობის, 15 % - პრემიერ-მინისტრს და 13% - ადგილობრივი ხელისუფლების.

საინფორმაციო გამოშვებებში პრეზიდენტობის კანდიდატებიდან გაშუქების 8 წუთი ჰქონდა ნინო ბურჯანაძეს („დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის“), 3 წუთი - დავით ბაქრაძეს („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) და თითქმის 2 წუთი - კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატს.

მონიტორინგის სუბიექტებს პირდაპირი საუბრისთვის გაცილებით მეტი დრო ეთმობოდათ: სიუჟეტებში მათი ვრცელი ინტერვიუები გვხვდებოდა. ამის შედეგია სუბიექტების მიმართ გამოვლენილი უარყოფითი ტონი.

ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ და მოვლენების მიუკერძოებლად, ფაქტების მოკლე გაშუქებით შემოიფარგლებოდნენ.



"მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი) - საანგარიშო პერიოდში „მე-9 ტალღის“ საინფორმაციო გამოშვება „კურსორი“ ეთერში ყოველდღე (შაბათის გარდა) გადიოდა. საარჩევნო თემების პარალელურად სიუჟეტები მზადდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის და დევნილების პრობლემების შესახებ; შუქდებოდა ადგილობრივი ხელისუფლების აქტივობები, ქალაქში გამართული სპორტული და კულტურული ღონისძიებები.

არხის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 34 წუთი დაეთმო. გაშუქდა ორი საპრეზიდენტო კანდიდატის, თეიმურაზ მჟავიას ("ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია") და შალვა ნათელაშვილის ("ლეიბორისტული პარტია") წინასაარჩევნო კამპანია, თუმცა მათ წუთზე ნაკლები დრო დაეთმო.


წუთზე ნაკლები დრო ასევე დაეთმო: გიორგი მარგველაშვილს (კოალიცია "ქართული ოცნება"), დავით ბაქრაძეს ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") და ნინო ბურჯანაძეს ("დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის").

საინფორმაციო გამოშვებებში სუბიექტებისთვის დათმობილი დროის 31-31% კოალიცია "ქართული ოცნების" და ცენტრალური საარჩევნო კომისიის აქტივობების გაშუქებაზე მოდიოდა. მომზადდა სიუჟეტები კოალიციის მიერ ფოთში გამართულ წინასაარჩევნო კამპანიაზე.

ახალი ამბების გადმოცემის დროს ჟურნალისტები საკუთარ მოსაზრებებს არ აფიქსირებდნენ. სიუჟეტებში ბალანსი დაცული იყო; ყველა მხარეს თანაბრად ეთმობოდა დრო, მათ შორის პირდაპირი საუბრისთვის.

სუბიექტებს, ძირითადად, ნეიტრალურად აშუქებდნენ. თუმცა კოალიცია "ქართული ოცნებისთვის" დათმობილი დროის თითქმის 43% დადებით გაშუქებაზე მოდიოდა.

27 ოქტომბერს, არჩევნების დღეს არხის საინფორმაციო გამოშვების ჯგუფი საგანგებო რეჟიმში მუშაობდა. „მე-9 ტალღა“ აქტიურად აშუქებდა ფოთში მიმდინარე საარჩევნო პროცესებს.



საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების და თოქ-შოუების მონიტორინგი

ამ ტიპის გადაცემების მონიტორინგი მოიცავს მხოლოდ თვისებრივ კომპონენტს. მონიტორინგის დროს დაკვირვება მხოლოდ ჟურნალისტებზე ხდება. მათი ქცევა სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ფასდება: გადაცემაში მათი როლი და ჩართულობა, როგორ წარმართავენ პროცესს, უბრალოდ მოდერატორები არიან, თუ ცდილობენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, რამდენად თანაბარ პირობებში აყენებენ სტუმრებს, რამდენად თანაბრად მომთხოვნიან ჟურნალისტი ყველა სტუმრის მიმართ და ცდილობს მათგან სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას, რამდენად აცდიან სტუმრებს აზრის გამოთქმას, როდის აწყვეტინებენ საუბარს. მონიტორინგი ასევე აკვირდება ჟურნალისტების მხრიდან შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ფრაზებისა და განცხადებების გამოყენებას და მათ რეაგირებას სტუმრების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე.

მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:

"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - საანგარიშო პერიოდში, ყოველ სამუშაო დღეს ტელეკომპანიის ეთერში **თოქ-შოუ "დიალოგი"** გადიოდა. დაახლოებით ერთსაათიანი გადაცემა ჟურნალისტ ჯაბა ანანიძეს მიჰყავდა. გასული კვირის გადაცემის თემები იყო:

- „ლეობორისტული პარტიის“ პრეზიდენტობის კანდიდატ შალვა ნათელაშვილის საარჩევნო პროგრამა (სტუდიის სტუმარი კანდიდატის აჭარის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი);
- გონიოს ციხესთან არსებული მიწის ნაკვეთების ბედი;
- ახალი სამოქალაქო მოძრაობა "ბათუმელების" ჩამოყალიბება;
- მთავრობის საარჩევნო აქტივობები (სტუდიის სტუმარი პარლამენტის წევრი მურმან დუმბაძე);

გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე, საეთერო დრო მხოლოდ ერთ მხარეს ეთმობოდა. თუმცა, წამყვანი კარგად იცნობდა განსახილველ თემას და სტუმრებს საინტერესო და კრიტიკულ კითხვებს უსვამდა. იგი ყოველთვის ცდილობდა მაყურებელს ამომწურავი და დასაბუთებული ინფორმაცია მიეღო.

გადაცემები ინტერაქციული იყო: მაყურებელს საშუალება ჰქონდა სტუდიაში დაერეკა, აზრი გამოეთქვა და სტუმრისთვის კითხვა დაესვა.

ზოგჯერ სტუმრებსა და წამყვანს შორის ცხარე დისკუსიებიც იმართებოდა. თუმცა, ჟურნალისტი მაქსიმალურად ცდილობდა ობიექტური და მიუკერძოებელი ყოფილიყო.

25 ოქტომბერს არხის ეთერში **თქო-შოუ „უპასუხეთ ხალხს“** გავიდა. საათნახევრიანი გადაცემა ჟურნალისტ ჯაბა ანანიძეს მიჰყავდა. გადაცემის სტუმრები: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომდგენენლები და პოლიტოლოგი, ამომრჩეველთა აქტივობაზე საუბრობდნენ. გადაცემაში თემის ირგვლივ მომზადებული სიუჟეტებიც გავიდა.

გადაცემის წამყვანი სამივე სტუმარს დროს თანაბრად უთმობდა.

„რიონი" (ქ. ქუთაისი) - ერთკვირიან საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის ეთერში **თოქ-შოუ "დიალოგი"** გავიდა. გადაცემის თემა იყო: სოჭის ოლიმპიური თამაშები; უნდა წავიდნენ თუ არა ქართველი სპორტსმენები სოჭის ოლიმპიადაზე.

თემაზე სასაუბროდ ჟურნალისტ ნანა რობაქიძეს სტუდიაში მიწვეული ჰყავდა ვეტერანი და ახალგაზრდა სპორტსმენები. სტუმრები მონიტორინგის სუბიექტები არ ყოფილან.

ჟურნალისტი ცდილობდა ერთსაათიან გადაცემაში დეტალურად ესაუბრათ სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა/არმონაწილეობის მნიშვნელობაზე; გადაცემაში მყოფი ყველა სტუმარი აცხადებდა, რომ ქართველ სპორტსმენებს სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ. წამყვანმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ საქართველოში მოქალაქეების გარკვეულ ნაწილს ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება აქვთ.

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში საზოგადოებრივ-პოლიტიკური **თოქ-შოუ „თემა“** ორჯერ გავიდა. გადაცემას სხვადასხვა წამყვანი ჰყავდა.

22 ოქტომბრის თოქ-შოუ "თემა" **„არჩევანი 2013“-ს** დაეთმო, რომელიც „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მედიასექტორული თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში მზადდება IREX-ის G-MEDIA პროგრამის მხარდაჭერით.

თოქ-შოუს სტუმარი მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ პრეზიდენტობის კანდიდატი სერგო ჯავახიძე იყო. სტუდიაში ასევე უნდა ყოფილიყო პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, თუმცა როგორც წამყვანმა აღნიშნა, ის მოულოდნელად თბილისში გაემგზავრა, ამიტომ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერმა „რიონის“ მაყურებელს გადაცემის მეოთხე ბლოკში სატელეფონო ჩართვის საშუალებით მიმართა.

ჟურნალისტმა ნანა რობაქიძემ გადაცემის დასაწყისში აღნიშნა, რომ თოქ-შოუში ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი იყო მიწვეული, თუმცა ისინი სტუდიაში არ მივიდნენ.

თოქ-შოუს თემა პრეზიდენტობის კანდიდატთა საარჩევნო პროგრამები, პრიორიტეტები და სამომავლო გეგმები იყო.

გადაცემაში აქცენტი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემებზე გაკეთდა. სტუმარმა ისაუბრა თუ როგორ აპირებდა სოციალურად დაუცველთა რიცხვის შემცირებას, მათი პრობლემების მოგვარებას და უმუშევრობის პრობლემის დაძლევას.

დისკუსიაში ასევე მონაწილეობდნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და ჟურნალისტები. გადაცემა ოთხი ნაწილისგან შედგებოდა: პირველი ნაწილი საარჩევნო პროგრამის წარდგენას ითვალისწინებდა; მეორეში კონკრეტულ თემაზე იყო საუბარი და სიუჟეტი იყო ნაჩვენები; მესამე ნაწილში ადგილობრივი მედიასაშუალებებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ჩაერთნენ, ხოლო მეოთხე ბლოკში - ტელემყურებელი. სტუმრები საკმაოდ აქტიურები იყვნენ. მათ მიერ პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ დასმული კითხვები მხოლოდ სოციალურ საკითხებს არ შეეხებოდა.

გადაცემაში გავიდა სიუჟეტი, სადაც იმერეთის რეგიონში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემა იყო გაშუქებული. ჟურნალისტი დაინტერესდა თუ როგორ

მოაგვარებდა სტუმარი ამ მოქალაქეების პრობლემებს პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში. იგი ცდილობდა სტუმრისგან კონკრეტული პასუხები მიეღო.

წამყვანი გადაცემის ფორმატით გათვალისწინებული წესებს მაქსიმალურად იცავდა. იგი მიუკერძოებელად და კორექტულად სვამდა კითხვებს.

25 ოქტომბერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „თემას“ ჟურნალისტი ხატია ბაბუნაშვილი უძღვებოდა. თოქ-შოუს თემა იყო: წინასაარჩევნო კამპანიის ტექსტები და ქვეტექსტები. რას სთავაზობენ საპრეზიდენტო კანდიდატები მოსახლეობას? რა იმალება მათ მთავარ გზავნილებში? ვინ ამბობს სიმართლეს? გადაცემაში ასევე საუბარი იყო კანდიდატების გამარჯვების პერსპექტივებზე.

წამყვანს სტუმარად მიწვეული ჰყავდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი ტარიელ ფუტყარაძე.

წამყვანი თემის ირგვლივ ვრცელ და საინტერესო კითხვებს სვამდა. გადაცემის მსვლელობისას ჟურნალისტი საკუთარ შეხედულებებსაც გამოთქვამდა და ცდილობდა თითოეული საპრეზიდენტო კანდიდატის სლოგანზე სტუმარს დეტალურად ესაუბრა. გადაცემაში პრეზიდენტობის კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებზეც ისაუბრეს.

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია "რიონის" ეთერში ბადრი კაპეტივაძის სახელობის საზოგადოებრივი სატელევიზიო კლუბი „ღია სამოქალაქო საზოგადოება“ გავიდა. გადაცემის თემა იყო მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნები.

გადაცემის წამყვანს საარჩევნო თემებზე სასაუბროდ მიწვეული ჰყავდა №59 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გოგა კლდიაშვილი. გადაცემის მსვლელობისას საუბარი იყო არჩევნებზე, საარჩევნო პროცედურებზე, რამდენად მზად იყო უბნები არჩევნების ჩასატარებლად. საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა იმ სხვაობაზე, რომელიც საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს შორის შეინიშნებოდა. მოქალაქის მიერ, სატელეფონო ჩართვით, პრემიერ-მინისტრის მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ განცხადებას სტუდიაში მყოფი სტუმარი გამოეხმაურა, რომელმაც პრემიერის მისამართით საკუთარი პოზიტიური დამოკიდებულება გამოხატა. აღსანიშნავია, რომ ბიძინა ივანიშვილის მიმართ სიმპათია გადაცემის წამყვანმაც გამოხატა. გადაცემაში ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაზეც იყო საუბარი.

27 ოქტომბერს „რიონის“ ეთერში გადაცემა „თქვენი პარლამენტი“ გავიდა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება. წამყვანს სტუდიაში მიწვეული ჰყავდა ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია "ქართული ოცნების" წევრი ელისო ჩაფიძე. მან დეპუტატს ტელეკომპანია „არგოს“ (ქ. ზესტაფონი) ჟურნალისტების მიერ მიწოდებული კითხვები დაუსვა. 6 წუთიანი გადაცემის თემა იყო: „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები. როგორც ჟურნალისტმა აღნიშნა, გადაცემის მეორე სტუმარი საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. თუმცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - 22 და 25 ოქტომბერს ტელეკომპანიის ეთერში თოქ-შოუ „თქვენი დრო“ გავიდა, რომელიც ჟურნალისტ ტატო გოგოლაძეს მიჰყავდა.

თოქ-შოუ საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. 22 ოქტომბრის გადაცემის სტუმარი „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტიის“ პრეზიდენტობის კანდიდატი თეიმურაზ მჟავია იყო, ხოლო 25 ოქტომბერს თოქ-შოუმ დრო საინიციატივო ჯგუფის „მომავალი ჩვენი“ პრეზიდენტობის კანდიდატ ნინო ჭანიშვილს დაუთმო.

ჟურნალისტი კეთილგანწყობილი იყო რესპონდენტების მიმართ. გადაცემაში არ გამართულა დებატები და არც კრიტიკული შეკითხვები დასმულა. გადაცემის ფორმატის მიხედვით, დასაწყისში რესპონდენტს საშუალება ჰქონდა ამომრჩევლისთვის მიემართა. მოგვიანებით კი ჟურნალისტი პრეზიდენტობის კანდიდატს შეკითხვებს პროგრამული პრიორიტეტებისა და ხედვების შესახებ უსვამდა, თუმცა დეტალებით ნაკლებად ინტერესდებოდა და საკითხს არ უღრმავდებოდა.

გადაცემებში მონიტორინგის სხვა სუბიექტებიდან ირიბად გაშუქდა მთავრობა, კოალიცია „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. რესპონდენტები მათი მისამართით, ძირითადად, ნეიტრალურ ან ნეგატიურ ტონს აფიქსირებდნენ.

"ოდში" (ქ. ზუგდიდი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „ოდის“ სადამოს ეთერში, 25 ოქტომბერს თოქ-შოუ „არჩევანი 2013“ გავიდა, რომელსაც ნანა ქობალია უძღვებოდა. თოქ-შოუ „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მედიასექტორული თანამშრომლობის პროექტის „არჩევანი 2013“-ის ფარგლებში მზადდება და IREX-ის G-MEDIA პროგრამის მხარდაჭერით ხორციელდება.

თოქ-შოუში დეტალურად იყო განხილული პრეზიდენტობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამები. გადაცემაში საპრეზიდენტო კანდიდატების ზუგდიდის საარჩევნო შტაბების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. კერძოდ, კოალიცია „ქართული ოცნების“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“, „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის“ და „ხალხის პარტიის“ წარმომადგენლები. გადაცემის მეორე ნაწილში ეთერში ერთ-ერთი საინიციატივო ჯგუფის პრეზიდენტობის კანდიდატი ნესტან კირთაძე ჩაერთო, თუმცა მას სტუდიაში გამართულ დებატებში მონაწილეობა არ მიუღია.

თოქ-შოუს მსვლელობისას ნაჩვენები იყო სიუჟეტი და ქუჩის გამოკითხვა. გარდა ამისა, მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ სატელეფონო ზარებით აზრი გამოეთქვათ, ან შეკითხვა დაესვათ სტუმრებისთვის.

მიწვეულ სტუმრებს პრეზიდენტობის კანდიდატების პროგრამების წარდგენისათვის 3-3 წუთი დაეთმოთ. გადაცემის წამყვანმა მათ დამატებითი დროც მისცა რეგიონთან მიმართებაში არსებულ კონკრეტულ პროექტებზე სასაუბროდ. ჟურნალიტი სტუმრებს სთხოვდა დასმულ შეკითხვებზე კონკრეტული პასუხები გაეცათ.

ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელი საკუთარი კანდიდატის პროგრამაზე საუბრისას ოპონენტების მიმართ კრიტიკულ შეფასებებს აკეთებდა, თუმცა სიძულვილის ენის გამოყენებას და დისკრიმინაციულ გამოთქმებს ადგილი არ ჰქონია. წამყვანი მაქსიმალურად ნეიტრალური იყო და ცდილობდა სიტუაციისა და მოსაზრებების დაბალანსებას.

გადაცემის მეორე ნაწილში ნაჩვენები სიუჟეტი ანაკლიაში შეჩერებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს და მოსახლეობის პრობლემებს ეხებოდა. სიუჟეტმა სტუდიაში მწვავე დებატები გამოიწვია. თოქ-შოუს ამავე ნაწილში მოქალაქეებს საშუალება მიეცათ კრიტიკული მოსაზრებები გამოეთქვათ და სტუმრებისთვის შეკითხვები დაესვათ. გადაცემის წამყვანი ყველას კორექტულობისკენ მოუწოდებდა.

გადაცემის დასკვნით ნაწილში სტუმრებს შემაჯამებელი სიტყვის თქმის საშუალება მიეცათ, რისთვისაც თითო-თითო წუთი დაეთმოთ.

გასული კვირის განმავლობაში მონიტორინგის ქვეშ გადაცემა "თქვენი პარლამენტი" მოექცა. გადაცემა ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება.

27 ოქტომბერს ეთერში გასული გადაცემა მანგანუმის მოსაკრებლის შესაძლო გაზრდას შეეხებოდა. ახალი კანონ-პროექტი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანას ითვალისწინებს. გადაცემაში თემაზე კანონ-პროექტის ინიციატორმა ჭიათურის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ფრაქცია "ქართული ოცნება-რესპუბლიკელების" წევრმა მალხაზ წერეთელმა ისაუბრა. წამყვანის განმარტებით, საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. სტუმარმა ტელეკომპანია „იმერვიზიის“ (ქ. ჭიათურა) ჟურნალისტების მიერ მომზადებულ კითხვებს უპასუხა.

გადაცემა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, მწვავე და კრიტიკული კითხვები არ დასმულა.

ტელეკომპანია „ოდიშის“ ეთერი 26 ოქტომბერს კიდევ ერთ თოქ-შოუს დაეთმო: **გადაცემა „საუბრები ქალთა საკითხებზე“** საზღვირსპირა სოფლებში მცხოვრებ ქალთა პრობლემებს და საჭიროებებს შეეხებოდა. გადაცემის სტუმრები მონიტორინგის სუბიექტები არ ყოფილან .

მეცხრე არხი (ქ. ახალციხე) - 24 ოქტომბერს ტელეკომპანიის ეთერში **თოქ-შოუ "დიალოგი რუსუდან გვარამაძესთან ერთად"** გავიდა. გადაცემა, რომელიც მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს შეეხებოდა, ორ ნაწილად იყო გაყოფილი. თოქ-შოუს დასაწყისში წამყვანმა აღნიშნა, რომ სტუდიაში ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი მიიწვიეს, მაგრამ გადაცემაში მონაწილეობაზე "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის", "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" და კოალიცია "ქართული ოცნების" წარმომადგენლები დათანხმდნენ. გადაცემის პირველ ნაწილში სტუმრებმა რეგიონში არსებულ წინასაარჩევნო გარემოზე ისაუბრეს. ხოლო მეორე ბლოკის სტუმარი ერთ-ერთი საინიციატივო ჯგუფის პრეზიდენტობის კანდიდატი ნესტან კირთაძე იყო.

მთავარი სტუმრების გარდა სტუდიაში იმყოფებოდნენ და დისკუსიაში აქტიურად ერთვებოდნენ "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის", "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის", კოალიცია "ქართული ოცნებისა" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სხვა წარმომადგენლებიც.

გადაცემის წამყვანი კეთილგანწყობილი იყო სტუმრების მიმართ და ცდილობდა მათთვის თანაბრად დაეთმო დრო, თუმცა საბოლოოდ "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის" წარმომადგენელს სხვებთან შედარებით მეტად მიეცა საუბრის საშუალება.

ჟურნალისტი სტუმრებს საშუალებას აძლევდა ბოლომდე დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი და მიუკერძოებლად სვამდა კრიტიკულ შეკითხვებს.

"თანამგზავი" (ქ. თელავი) - 25 ოქტომბერს ტელეკომპანიის სადამოს ეთერში, 20:30 საათზე **თოქ-შოუ „დიალოგი“** გავიდა, რომელსაც ნატო მეგუთნიშვილი უძღვებოდა. გადაცემის სტუმრები იყვნენ პრეზიდენტობის კანდიდატების თელავის საარჩევნო შტაბების წარმომადგენლები: კოალიცია „ქართული ოცნების“, „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის“ და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“. მიწვევის მიუხედავად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს თოქ-შოუში მონაწილეობა არ მიუღია.

გადაცემაში მწვავე დებატები არ გამართულა, წამყვანის კითხვებს სტუმრები თანმიმდევრულად პასუხობდნენ, თითოეულ მათგანს თანაბარი დრო დაეთმო. დასმულ საკითხებთან დაკავშირებით მათი მოსაზრებები დაბალანსებულად იყო წარმოდგენილი. წამყვანი, ძირითადად, მედიატორის ფუნქციას ასრულებდა და მაქსიმალურად ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებდა.

აღსანიშნავია, რომ გადაცემაში კრიტიკულ და მწვავე შეკითხვებს, ძირითადად, მოქალაქეები სატელეფონო ჩართვების დროს სვამდნენ. თოქ-შოუში გავიდა ქუჩის გამოკითხვაც, სადაც თელაველები სოციალურ პრობლემებზე ამახვილებდნენ ყურადღებას და მათ მოგვარებას ითხოვდნენ.

გადაცემის წამყვანის შეკითხვები უმუშევრობის პრობლემის დაძლევის გზებს, სოციალურ პროგრამებს, განათლების საკითხებსა და საგარეო პრიორიტეტებს შეეხებოდა. ამ კითხვებით პოლიტიკური სუბიექტების ხედვები და საარჩევნო პროგრამები ამომწურავად იყო წარმოდგენილი.

"თრიალეთი" (ქ. გორი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „თრიალეთის“ ეთერში რამდენიმე თოქ-შოუ გავიდა. გადაცემებში მნიშვნელოვანი დრო საპრეზიდენტო კანდიდატების პროგრამებსა და წინასაარჩევნო გარემოზე საუბარს დაეთმო.

საარჩევნო თემებზე და მონიტორინგის სუბიექტებზე იყო საუბარი **გადაცემაში „თქვენი აზრით“**, რომელსაც გვანცა დოლუაშვილი უძღვებოდა. თოქ-შოუ ორი ნაწილისგან შედგებოდა და ძირითადად, მოსახლეობის გამოკითხვასა და მათ ჩართულობაზე იყო გათვლილი. გადაცემის პირველი ნაწილი თემის ირგვლივ მომზადებულ ანალიტიკურ სიუჟეტს და მოსახლეობის სატელეფონო ჩართვებს ეთმობოდა, მეორე ნაწილი კი - მიწვეულ სტუმართან ინტერვიუს.

საანგარიშო კვირაში სამი გადაცემა გავიდა. გადაცემების თემები იყო:

- რატომ ესწრებიან კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის შეხვედრებს, სასწავლო პროცესის დროს, მასწავლებლები და სკოლის მოსწავლეები;
- უნდა წავიდეს თუ არა პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან;
- დაინიშნება თუ არა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური.

თოქ-შოუს წამყვანი გადაცემის დასაწყისში მაყურებელს თემის ირგვლივ არსებულ წინაისტორიას და შეფასებებს აცნობდა, უჩვენებდნენ სიუჟეტებსა და ქუჩის გამოკითხვებს. ჟურნალისტი არ იყო მიკერძოებული და მოვლენებს საინტერესოდ და განსხვავებული რაკურსით წარმოადგენდა. გადაცემებში მიწვეული სტუმრები მონიტორინგის სუბიექტები არ იყვნენ და ძირითადად ნეიტრალურ ტონში საუბრობდნენ. თუმცა, ზოგჯერ ყოფილ და ამჟამინდელი მთავრობას უარყოფითადაც მოიხსენიებდნენ, მაგრამ არა სიძულვილის ენის გამოყენებით.

ტელეკომპანიის ეთერი ასევე დაეთმო **გადაცემა „თვალსაზრისს“**, რომელსაც ლადო ბიჭაშვილი უძღვებოდა. საანგარიშო კვირის თოქ-შოუში მონიტორინგის სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ. გადაცემა მთლიანად წინასაარჩევნო მედიაგარემოზე საუბარს დაეთმო. თემის ირგვლივ და მონიტორინგის სუბიექტებზე (კოალიცია „ქართული ოცნება“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, პრემიერ-მინისტრი, მთავრობა) საკუთარ თვალსაზრისს მიწვეული სტუმარი, მედიაექსპერტი ზვიად ქორიძე გამოთქვამდა.

საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „თრიალეთის“ ეთერში გადაცემა **„საპრეზიდენტო არჩევნები 2013“** გავიდა, რომელიც მთლიანად პრეზიდენტობის კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამების და მათი ხედვების განხილვას, აგრეთვე მოსახლეობისადმი მათ მიმართვებს დაეთმო. გადაცემაში მიწვეულები იყვნენ: „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი თარგამაძე და სხვადასხვა საინიციატივო ჯგუფის პრეზიდენტობის კანდიდატები: გიორგი ჩიხლაძე, ნესტან კირთაძე, მიხეილ (გელა) სალუაშვილი.

გადაცემის წამყვანები, ძირითადად, კითხვების დასმით შემოიფარგლებოდნენ და კანდიდატების მიმართ სუბიექტურ დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ.

25 ოქტომბერს ეთერი **თოქ-შოუს „გენდერი და საზოგადოება“** დაეთმო. გადაცემის თემა და სტუმრები მონიტორინგის სუბიექტები არ ყოფილან.

"გურია" (ქ. ოზურგეთი) - საანგარიშო პერიოდში არხის ეთერში სამი თოქ-შოუ გავიდა: **„არჩევანი 2013“**, **„თქვენი დრო“** და **„თქვენი პარლამენტი.“**

25 ოქტომბერს ეთერში გავიდა **თოქ-შოუ „თქვენი დრო“**. გადაცემის თემა ადგილობრივი თითმმართველობა და სოფლის მხარდამჭერი პროგრამები იყო. მონიტორინგის სუბიექტებიდან თოქ-შოუში ადგილობრივი ხელისუფლება, კოალიცია „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქდნენ. სტუდიაში მიწვეული იყო ადგილობრივი ბიზნესმენი და რაიონის გამგებელი. გადაცემაში ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა მხოლოდ პოზიტიურად შეფასდა. რამდენიმე მაყურებელმა და ბიზნესმენმა კეთილგანწყობა გამოხატა გამგებლის მიმართ, რომელიც რამდენიმე თვეა აღნიშნულ პოსტს იკავებს. ბიზნესმენი ირიბად მიანიშნებდა არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატის მხარდაჭერისკენ. რესპონდენტების მხრიდან შეიმჩნეოდა ნეგატიური ტონი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ.

ჟურნალისტი ნაკლებად სვამდა კრიტიკულ შეკითხვებს. მიუხედავად იმისა, რომ გადაცემა ინტერაქციული იყო და მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ კითხვა დაესვათ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, თოქ-შოუ მოსაზრებათა მრავალფეროვნებით არ გამოიჩეოდა.

27 ოქტომბერს არხის ეთერში გავიდა **გადაცემა „თქვენი პარლამენტი,“** რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, **„პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“** ფარგლებში მზადდება.

გადაცემის თემა ხე-ტყის გამოყენების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებებს შეეხებოდა. თოქ-შოუს სტუმარი ლაგოდების მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი გოზალიშვილი იყო. გადაცემის ფორმატი მკაცრად რეგლამენტირებულია, სტუმარს კონკრეტულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად გარკვეული დრო ეძლევა, რაც თემიდან გადახვევის შესაძლებლობას გამორიცხავს. ჟურნალისტი კეთილგანწყობილი იყო რესპონდენტის მიმართ. სტუმარს ოპონენტი არ ჰყავდა, მან ტელეკომპანია "ლტვ"-ს (ქ. ლაგოდები) მიერ მიწოდებულ

შეკითხვებს უპასუხა და თემასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივის არსი განმარტა.

23 ოქტომბერს არხის ეთერი ფოთის ტელეკომპანია „მეცხრე ტალღის გადაცემა „არჩევანი 2013“-ს დაეთმო. თოქ-შოუ „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მედიასექტორული თანამშრომლობის პროექტის „არჩევანი 2013“-ის ფარგლებში მზადდება და IREX-ის G-MEDIA პროგრამის მხარდაჭერით ხორციელდება. "მეცხრე ტალღის ეთერში გადაცემა 18 ოქტომბერს გავიდა (იხილეთ 14-20 ოქტომბრის მონიტორინგის შედეგები).

"იმერვიზია" (ქ. ჭიათურა) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიას თოქ-შოუ არ მოუმზადებია.

"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - საანგარიშო კვირაში, 27 ოქტომბერს ტელეკომპანიის ეთერში გადაცემა „თქვენი პარლამენტი“ გავიდა. გადაცემა ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება.

გადაცემაში სტუმრად ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი ელისო ჩაფიძე იმყოფებოდა. გადაცემის მეორე სტუმარი საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, თუმცა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. წამყვანმა პარლამენტის წევრს ტელეკომპანია „არგოს“ (ქ. ზესტაფონი) ჟურნალისტების მიერ მიწოდებული კითხვები დაუსვა.

გადაცემის თემა საკანონმდებლო ცვლილებები იყო. სტუმარი შეკითხვებს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებებთან დაკავშირებით პასუხობდა.

მონიტორინგის სუბიექტებიდან გადაცემაში მოხვდნენ: ადგილობრივი ხელისუფლება და მთავრობა, კოალიცია „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. გადაცემაში ძირითადად ნეიტრალური ტონი სჭარბობდა.

მეგა ტვ" (ქ. ხონი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიის ეთერში გადაცემა "არჩევნები 2013" გავიდა. 23 ოქტომბრის გადაცემის თემა ზოგადად საარჩევნო გარემოს შეეხებოდა. გადაცემის დასაწყისის წამყვანმა ნანა თოშუამ აღნიშნა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატები თავს იკავებენ რეგიონალურ მაუწყებლებში სტუმრობისგან, და არც ყველა კანდიდატის საარჩევნო შტაბების წარმომადგენლები გამოირჩევიან აქტიურობით. ამიტომ გადაცემაში წინასაარჩევნო გარემოზე სასაუბროდ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის იურსიტი მიიწვიეს. სტუმარმა წინასაარჩევნო გარემო შეაფასა და იმ დარღვევებზეც ისაუბრა, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას გამოვლინდა. ყურადღება გამახვილდა რეგიონში შექმნილ საარჩევნო გარემოზე.

გადაცემა დიალოგის რეჟიმში მიმდინარეობდა. სტუმარს საშუალება ჰქონდა წამყვანის შეკითხვებზე ამომწურავად ეპასუხა. ჟურნალისტი თემასთან დაკავშირებით თანმიმდევრულად სვამდა შეკითხვებს, საკუთარ შეფასებებს ნაკლებად აკეთებდა და ცდილობდა ჩაძიებოდა სტუმარს, რომ მისი პასუხი მაყურებლისთვის ბოლომდე გასაგები და მკაფიო ყოფილიყო.

გასულ კვირას არხის ეთერი გადაცემა "თქვენი პარლამენტი" ორ გამოშვებას დაეთმო. გადაცემის თემები იყო:

- განსაკუთრებული ნიჭის ახალგაზრდები უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან;
- დევნილების თანაბარ პირობებში ჩაყენება;

პირველ თემაზე სასაუბროდ მიწვეული იყვნენ პარლამენტის წევრები ელისო ჩაფიძე (კოალიცია "ქართული ოცნება") და სერგო რატიანი ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"). სტუმრებს თანაბარი დრო დაეთმოთ კითხვებზე პასუხის გასაცემად და საკუთარი აზრის დასაფიქსირებლად.

მეორე გადაცემის თემის ირგვლივ ტელეკომპანია "თრიალეთის" დასმულ კითხვებს გორის მაჟორიტარი დეპუტატი, კოალიცია "ქართული ოცნების" წევრი მალხაზ ვახტანგაშვილი პასუხობდა. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

გადაცემა ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება.

"მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი) - 25 ოქტომბერს „მე-9 ტალღის“ ეთერში **თოქ-შოუ „თემა“** უნდა გასულიყო. გადაცემის სტუმრები ფოთისა და ხობის საოლქო-საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც საარჩევნო პროცედურებზე ისაუბრებდნენ. თუმცა, დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვების დასასრულს საინფორმაციოს წამყვანმა განაცხადა, რომ კომისიების თავმჯდომარეებმა გადაცემაში მისვლას ვერ მოახერხებდნენ, რადგან თბილისში, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში იმყოფებოდნენ. ამიტომ „მე-9 ტალღამ“ მაყურებელს პარტნიორი სამაუწყებლო კომპანია „გურიის“ მიერ მომზადებული **თოქ-შოუ "არჩევანი-2013"** ("საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის" მედიასექტორული თანამშრომლობის პროექტი, რომლის მხარდამჭერია IREX-ის G-MEDIA პროგრამა) შესთავაზა. თოქ-შოუ, რომელიც ტელეკომპანია "გურიის" ეთერში 23 სექტემბერს გავიდა, საარჩევნო თემატიკას, პოლიტიკური პარტიების ხედვებსა და პრიორიტეტებს შეეხებოდა (იხილეთ 16-29 სექტემბრის მონიტორინგის შედეგები).

21 ოქტომბერს ტელეკომპანიის ეთერში **გადაცემა „თქვენი პარლამენტი“** გავიდა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და "ინტერნიუსი-საქართველოს" პროექტის, „პარლამენტის კომუნიკაციების ცენტრი“ ფარგლებში მზადდება.

6 წუთიანი გადაცემის თემა იყო: კანონ-პროექტი სასოფლო-სამეურნეო მიწის სტატუსის შეცვლის შესახებ.

წამყვანს გადაცემაში თელავის მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია „ქართული ოცნება - თავისუფალი დემოკრატების“ წევრი გელა სამხარაული ჰყავდა მიწვეული, რომელმაც პასუხი ტელეკომპანია „გურჯაანის“ მიერ მომზადებულ კითხვებზე გასცა.

გადაცემის სტუმარი ასევე უნდა ყოფილიყო საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი, თუმცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“

„რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ ყოველკვირეული ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“ კვირაში ერთხელ, სხვადასხვა დროს ეთერში შემდეგ არხებზე გადის: „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“, „25-ე არხი“, „თანამგზავრი“, „ოდიში“ „მეცხრე ტალღა“ „რიონი“, „იმერვიზია“, „გურჯაანი“ და „მეცხრე არხი“.

საანგარიშო პერიოდში ეთერში მრავალკუთხედის ერთი გადაცემა გავიდა, რომლის თემები იყო:

- პრეზიდენტობის 23 კანდიდატის ბრძოლა პირველობისთვის;
- მოსახლეობის მოლოდინი საპრეზიდენტო არჩევნებისგან;

გადაცემის პირველ თემასთან დაკავშირებით „მრავალკუთხედმა“ მაყურებელს საკმაოდ საინტერესო სიუჟეტი შესთავაზა. მოსახლეობის მოლოდინის შესახებ კი ეთერში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ჩაწერილი ინტერვიუები გავიდა, სადაც მოქალაქეები საკუთარ მოლოდინებზე და იმის შესახებ საუბრობდნენ, თუ რა უნდა შეიცვალოს ქვეყანაში.

ტელეჟურნალის წამყვანს, ნიკოლოზ რუბაშვილს სტუდიაში მიწვეული ჰყავდა მედიამკველევარები, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში მედიის მონიტორინგს ახორციელებდნენ. „მრავალკუთხედის“ მაყურებელს საშუალება ჰქონდა მედიაში არსებული წინასაარჩევნო გარემოს შეფასება მოესმინა. წამყვანი სტუდიაში მყოფ სტუმრებს საინტერესო კითხვებს უსვამდა. ჟურნალისტი ინტერესდებოდა, თუ რა განსხვავებები დააფიქსირეს მკვლევარებმა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების გაშუქებებს შორის; რამდენად მნიშვნელოვანი იყო კვლევის ჩატარება და გაგრძელებოდა თუ არა ეს პროცესი 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინა პერიოდში.

სტუდია "რე"

საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიების: "მე-9 ტალღა", "თრიალეთი" "მეგა ტვ", „გურჯაანი“ სადამოს ეთერში სტუდია „რეს“ 45 წუთიანი ტელედისკუსია გადიოდა.

საანგარიშო პერიოდში ორი გადაცემა გავიდა, სადაც შემდეგი თემები განიხილებოდა:

- სამედიცინო პროექტების როლი მშვიდობის მშენებლობაში (*"თრიალეთი", "მეგა ტვ", "გურჯაანი"*);
- როგორ შუქდება წინასაარჩევნო პროცესები მედიაში (*"მე-9 ტალღა"*);

გადაცემები, რომლებსაც ჟურნალისტი ზვიად ქორიძე უძღვებოდა, სტუმართა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.

გადაცემა, რომლის თემა მშვიდობის მშენებლობა იყო, გაეროს განვითარების სააგენტოს პროექტის ფარგლებში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა დაშორებულ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის პროცესში სამედიცინო პროგრამების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. მონიტორინგის სუბიექტებიდან

გადაცემაში ადგილობრივ ხელისუფლებასა და მთავრობაზე იყო საუბარი. სტუმრებმა ისაუბრეს მთავრობის პოზიტიურ როლზე სამედიცინო პროექტების განხორციელებისთვის ხელშეწყობის საქმეში.

ტელედიკუსიაში, რომლის თემა იყო როგორ აშუქებდა მედია წინასაარჩევნო პერიოდს, სტუდიაში სასაუბროდ წამყვანს სტუდიაში მიწვეული ჰყავდა 5 სტუმარი. ორგანიზაციები, რომლებსაც ისინი წარმოადგენდნენ, მედიის მონიტორინგს ახორციელებენ. სტუმრებმა წინასაარჩევნოდ ქართულ მედიაში არსებული გარემო შეაფასეს. გადაცემაში ვრცლად მიმოიხილეს მედიასივრცეში არსებული წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის გაშუქება და ტენდენციები. წამყვანი ზვიად ქორიძე ცდილობდა, გადაცემის მსვლელობისას სრულად ყოფილიყო ნაჩვენები ის ვითარება, რაც დღეს ქართულ მედიაში შეინიშნება.

სოციალური რეკლამების მონიტორინგი

მონიტორინგის ფარგლებში ასევე დაკვირვება მოხდება სოციალურ რეკლამებზე. "რეკლამის შესახებ კანონის" მე-12 მუხლში სოციალური რეკლამა განმარტებულია როგორც "საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისა და საქველმოქმედო მიზნების მიღწევისაკენ მიმართული რეკლამა, რომელიც არ არის არც კომერციული და არც წინასაარჩევნო რეკლამა და არ შეიცავს კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სამთავრობო დაწესებულების, აგრეთვე მათ მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას (9.06.2006 N3245)". დაკვირვება მოხდება იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებს ესა თუ ის სოციალური რეკლამა ამ სტატუსის რეკლამისთვის კანონით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს და ხომ არ შეიცავს "ფარული პოლიტიკური რეკლამის" (სამთავრობო დაწესებულებების, აგრეთვე მათ მიერ გაწეული მომსახურების რეკლამირება) ნიშნებს. თვისებრივი კვლევის პარალელურად დაითვლება "ფარული პოლიტიკური რეკლამის" ნიშნების შემცველი სოციალური რეკლამების ეთერში გასვლის სიხშირეც.

მონიტორინგის შედეგები: საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიების ეთერში გასულ სოციალურ რეკლამებში ფარული პოლიტიკური რეკლამის ნიშნები არ შეინიშნებოდა.

მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:

დაგეგმილია 28 ოქტომბერი - 3 ნოემბრის მანძილზე განხორციელებული რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის მეხუთე ეტაპის ანგარიშის მომზადება.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



Global Expertise. Local Solutions.
Sustainable Democracy.

ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი შესაძლოა არ ასახავდეს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.